

ნარბიზა სურმაზა

რ ბგერის რეფლექსი ქვემოაჭარულსა და ლაზურში

აჭარულ დიალექტში ფონეტიკური პროცესების მიმოხილვისას სახელდება სპეციფიკური მოვლენა — რ ბგერის რედუქცია წინამავალი ხმოვნის საკომპენსაციო დაგრძელებით: ჭვინთი, მატო, ხრცი... (ჭ. ნოლაიდელი, შ. ნიჟარაძე, მ. ფაღავა და სხვ.).

უფრო დაწვრილებით შევხებით ამ თავისებურებასა და მასთან დაკავშირებულ საკითხებს.

უპირველესად ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ რ-ს რედუქცია თანამდევნი წინამავალი ხმოვნის სიგრძით ლოკალური მოვლენაა და უკავშირდება კონკრეტულ სამეტყველო უბანში რ ბგერის არტიკულაციურ თავისებურებას.

ქედის რაიონის მკვიდრი ადვილად გამოსაცნობია მისი მეტყველების მიხედვით, პირველ რიგში კი იმით, თუ როგორ გამოთქვამს იგი რ ბგერას. თვით ქედის რაიონში ამ მოვლენის ცენტრს მერისის ხეობა წარმოადგენს. აჭარაში ანექდოტადაა ქცეული მერისელის გამონათქვამი: „ტოტუა-მოტუა (ტროტუარი-მოტუარი) ა ვიცი მე, მა(რ)თებულ გზაზე ვია(რ)ო“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს მოვლენა — რ-ს განსხვავებული რეფლექსი — მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია ქედის რაიონის მიმდებარე ხელვაჩაურის რაიონის სოფლებისთვისაც. გვხვდება ამავე სარტყელში მდებარე მაჭახლის ხეობასა და კირნათ-მარადიდულ (ნიგალურ) მეტყველებაში. ასე რომ, თუ აჭარულ კილოს სამ კილოკაურ ერთეულად დავყოფთ (ქობულეთური, ქვემოაჭარული და ზემოაჭარული), რ-ს განსხვავებული არტიკულაცია შეიძლება ჩაითვალოს ქვემოაჭარული კილოკავისათვის ერთ-ერთ განმასხვავებელ მახასიათებლად.

ქვემოაჭარულში რ ბგერის წარმოთქმისას ენა არ არის მიახლოებული ზედა ნუნებთან (როგორც ეს გვაქვს, ჩვეულებრივ, ქართულში, როცა ამ ბგერას წარმოვთქვამთ), არამედ მათგან საკმაოდაა დაშორებული. სხვა მდგომარეობაშია, ზეაწეულია, ენის უკანა ნაწილის კიდეები. ასეთი არტიკულაციის გამო ქვემოაჭარულში რ სუსტი ბგერაა, რომელიც ადვილად ემორჩილება კოარტიკულაციურ გავლენებს. მისი შემართვისა და დამართვის მომენტები ისე შეერწყმის წინამავალი და მომდევნო ბგერებისას, რომ თვით ეს ბგერა ძლივსაა აღიქმება და თუ სიტყვა უცნობია, შესაძლოა, მისი არსებობა საერთოდ ვერ დავაფიქსიროთ.

გადავიდეთ კონკრეტული მასალის მიმოხილვაზე. ჩვენი დაკვირვება ეყრდნობა სმენით აღქმას ამ ბგერისა გაბმულ მეტყველებაში. საამისოდ მივმართავდით ცოცხალ დიალექტურ მეტყველებაზე უშუალო დაკვირვებას და მაგნიტოფირზე ჩაწერილ მასალებს.

ჯერ განვიხილოთ შემთხვევა, როცა რ-ს წინამავალი ხმოვანი იძენს სიგ-

რძეს. ეს ხდება პოზიციაში **VrC** (ანუ როცა **რ** ბგერის შემდეგ მოდის მარცვალთვასაყარი). ამ დროს შესაძლებელია ორი ვარიანტი: ა) ხმოვანმა შეიძინოს სიგრძე და იმავდროულად ისმოდეს სუსტად **რ** ბგერა ან ბ) **რ** ბგერა საერთოდ არ ისმოდეს და გვქონდეს მხოლოდ წინამავალი ხმოვნის სიგრძე. წინამავალი ხმოვანი გრძელია ორსავ ვარიანტში.

აღნიშნულ პოზიციაში, **რ** ბგერის არტიკულაციური თავისებურების გამო, გადასვლა **რ** ბგერიდან მომდევნო ჩქამიერ თანხმოვანზე ხდება დაყოვნებით, რის შედეგადაც იქმნება წინამავალი ხმოვნის სიგრძის ან ორმაგობის ეფექტი.

ხმოვნის სიგრძე უფრო გამოკვეთილია, თუ იგი მახვილიანია, ხოლო **რ** ბგერის მომდევნოდ გვაქვს ხშული თანხმოვანი ან ნაპრალოვანი **შ, ს, ღ, ხ** ბგერები. ეს განსაკუთრებით იგრძნობა 2-3 მარცვლიან სიტყვებში. ამ დროს მახვილით გამოწვეულ ხმოვნის სიგრძეს აძლიერებს **რ** ბგერის საარტიკულაციო სიგრძე და რაც უფრო ინტენსიურად წარმოითქმის წინამავალი ხმოვანი, მით უფრო სუსტად ისმის **რ** ბგერა და რწყმულ მეტყველებაში სრულიად იკარგვის. ამის მაგალითებია:

„შუთუჰამიან, ვიმიწ(რ)დებოდა“ (ცხმორისი).

„ყუ(რ)ძენი ზედ დაწყობილიო“ (ცხმორისი).

„ჩაწ(რ)ბენიეს დედ-მამამ“ (ზუნდაგა).

„წ(რ)გვევიებს ჩქოლეფს“ (ცხემნა).

„ყურის ძწ(რ)ში, ბახჩი(ს) ბოლოს შამშობლოა“ (მერისი).

„მწ(რ)თო ტირილი“ (ინაშარიძეები).

„შენი წაყვანის დწრდი არ მაქ“ (სილიბაური).

„ჯწ(რ)ში ბადიში მყაუდა“ (მერისი).

„იმ თაჟყდუმარემ იბრეთი დამმწ(რ)თა“ (კორომხეთი).

„რა გქნა, ზწ(რ)ში ვარ!“ (კორომხეთი).

„პწ(რ)ს გეუხსნიდით ხალხი“ (სიხალიძეები).

„ახლა დუგუნის დონეთი ხწ(რ)ჯი გადის, რა ვიცი“ (სკურდიდი).

„ახლა მათ გამეფონეს თუ ფწ(რ)მობენ, რა ვიცი“ (აღმართი).

გავზწ(რ)დე; დწ(რ)ჩა; დწ(რ)დი; ჰვწ(რ)თი...

(სუსტი **რ** ბგერა აღვნიშნულია პირობითად ნიშნით — **რ**. ხოლო ფრჩხილებში ჩასმულია დაკარგული **რ** და **ს** ბგერები).

არ და **ვერ** უარყოფითი ნაწილაკები შესიტყვებაში, ჩვეულებრივ, მახვილის მატარებელია. ამ მახვილის ქვეშ ენკლიზის გზით ერთიანდება მომდევნო სიტყვა, იქმნება მორფემათა მიჯნის სიტუაცია. ამიტომაც ამ ნაწილაკთა **ა** და **ე** ხმოვნები ყოველთვის გრძლად, მაღალ ტონალობაში წარმოითქმის, რის შედეგადაც მომდევნო სუსტი **რ** ბგერა იჩრდილება, არ ისმის. ამის ნიმუშებია:

„სახლი ა დატიოთ“ (სილიბაური).

„ა მოდის ოდაში“ (მერისი).

„აღა შემოხვიდე შენ ოდაშიო“ (მახუნცეთი).

„ვე შეველ დროზე-და“ (მეძიბნა).

„ვე წვედი, დავანებე და მეზობლის ქალ ვატან“ (სკურდიდი).

„ა მუალ“ (ქედა).

„სხაპარი ვე წამოდგება“ (მახუნცეთი).

- „ვე გეფელის, ვე გასხნიდა, ვე წედა(რ)და“ (კორომხეთი).
- „ვე(რ)აფეში ვე მივეხმარეთ“ (სკურდილი).
- „ახლოს აცნა გაათხუო, აცნა ითხუო, ეთი დელენა ჩადიოდეს“ (ცხემნა).
- „ქალი აღა დლუ(რ)ჩა“ (აღმართი).

ხმოვნის გაორმაგების ეფექტი გვაქვს მეტწილად ისეთ შემთხვევებში, როცა **რ**-ს წინ უძღვის **ო** და **ი** ხმოვნები. შესაძლებელია სხვა ხმოვანიც გაორმაგდეს, თუ მარცვალი ლოგიკურ-ემოციური მახვილის მატარებელია. მაგალითები:

- „ქაზიმა ხრო(რ)ცის ბაზა(რ)ზე იყო, ხოც ყილდა“ (უჩხითი).
- „ოო(რ)თვეს ქედას იყო“ (ცხემნა).
- „დეეწკაპენ ამ კიი(რ)კლებმა და მივდენ“ (აგარა).
- „ხმამალა განა ვე ეტყოდი, სიი(რ)ცხვილი იყო“ (კორომხეთი).
- „დააჩნენ მელა და დათვი“ (დოლოგანი).
- „გაა(რ)გნით (გარგნით) ასე გავხოხდები ეზოში“ (გუნდაური).

VრV პოზიციაში **რ** ბგერა შესაძლოა ისმოდეს სუსტად ან კომპლექსის წარმოთქმაში სრულიად დაიკარგოს. ამ პოზიციაში წინამავალი ხმოვანი შედარებით გამოკვეთილად აღიქმება, მაგრამ გრძელი არ არის. ამასთან, დიფთონგიზაციის პროცესი, რომელიც **რ**-ს დაკარგვის შემდეგ ხმოვანთა თავმოყრის შემთხვევაში იყო მოსალოდნელი, თითქოს არ ხდება: მისი (<მერისი) და არა მესი, საპაიკმახერო და არა საპაქმახერო. შესაძლოა ეს იმით აიხსნას, რომ მეტყველის ცნობიერებაში **რ** პოტენციურად არსებობს.

- „ჩემ სოფელს ინაშა(რ)იძიებს ეტყვიან“ (მერისი).
- „მიე(რ)ე დღეს იმფო შემეშინა“ (კორომხეთი).
- „შათი(რ)აჲ ქვიოდა“ (კორომხეთი).
- „მე(რ)ის ვიყავ“ (მეძიბნა).
- „წიფლი ქე(რ)ეჭი ძრებოდა“ (მახუნცეთი).
- „მიდი-მოდიან და კიდე უჭი(რ)ან“ (აღმართი).
- „ყუ(რ)უთები ვიცი იმ ნაღულიდან“ (მერისი).
- „ეთი ოცი დღე მე უმა(რ)ილო კა(რ)აქი მქონდა“ (აჭარისწყალი)
- „მასხა(რ)ა მამამთილი მყაჟდა“ (ცხმორისი).
- „ფა(რ)ა, ჭუ(რ)ები, ლაფე(რ)ა...“

ამრიგად, **წინამავალი ხმოვნის სიგრძე შეინიშნება მხოლოდ ერთ** ~

VრC პოზიციაში.

რომ კავშირი კილოკავში უფრო ხშირად წარმოდგენილია სახეცვლით - თავკიდური **რ**-ს გარეშე: **ომ, უმ**. ამ პროცესშიც გადამწყვეტი ჩანს პროკლიზია-ენკლიზიის ფაქტორი. **რომ** კავშირი თავისი მახვილის ქვეშ მიიერთებს წინამავალ სიტყვას და იქმნება ისევ მორფემათა მიჯნის სიტუაცია, ანუ **რ** ბგერა ექცევა ინტერგოკალურ პოზიციაში და იკარგვის.

- „ახლა'ომ ავათ გახდე...“ (კორომხეთი).
- „ვიცხა'ომ მიწას ემსახურებოდა, ამომთხრელფს“ (ცხემნა).
- „მე მიხარია'ომ, წვედეთ“ (ცხემნა).
- „შუუჭიჭინე'ომ ფოსთზე დგას“ (უჩხითი).

რ ბგერა სუსტია ყველა პოზიციაში, სიტყვის თავკიდურში - ხმოვნის წინ,

თანხმობის წინ; თანხმობის თანხმობის შემთხვევაში. მაგრამ განსაკუთრებით ხშირად იკარგვის ბაგისმიერ და წინაენისმიერ ხშულ თანხმობის შემდგომ. მაგალითად, მაჭახელი ქალის გვარი რომ მოფრინაძე და არა მოფინაძე, მისი გამოთქმის მიხედვით შეუძლებელი იყო მიხვედრა; მოტილდა<მოტილდა და მისთ. იგივე პროცესი, ხშულის მომდევნო რ-ს დაკარგვა, შენიშნულია მეგრულში და ჭანურის ხოფურ მეტყველებაში. მაგალითები: მეგრულიდან - ფიმული (<ფრიმული), პიანება (<პრიანება), წაბი (<წაბრი); ხოფურიდან - გესტა (<გრესტა) (ყლენტი 1960, 83).

აღსანიშნავია, რომ ქვემოაჭარულში, რიგ სიტყვებში, რომლებიც ხშირად მოიხმარებიან, მოლაპარაკის მცდელობის მიუხედავად, მისგან თვითკონტროლის შემთხვევაშიც კი, **რ** ბგერა იკარგება. ასეთებია: ეთი, მატო, მათლა, სნცხვილი, პიველი, მიბის, სნბილი, ე(რ)ცხვა, ღმეთი, მა(რ)ილი, მე(რ)ისი, და(რ)ჩა, ლაპაიკი, თვა(რ)ა, მა(რ)ა, დაატ(რ)ილა, სნ(რ)ძე, ხჷ(რ)და, თჷქეთი, დე(რ)გი და ა.შ.

ამრიგად, **ქვემოაჭარულისათვის ნიშანდობლივია რ ბგერის რეფლექსი, არტიკულაციურად რამდენადმე განსხვავებული, საერთო ქართული რ ბგერისაგან. ამ ნიშნით ქვემოაჭარული შეიძლება დაუპირისპირდეს აჭარული დიალექტის სხვა კილოკავებს.**

ქვემოაჭარული **რ** ძლიერ მოგვაგონებს ლაზურ (ხოფურ) **რ** ბგერას, რომელიც ქართულ ენათმეცნიერებაში კარგად არის ცნობილი. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ორ მოვლენას საერთო საფუძველი აქვს.

ჭანური **რ** ბგერა ქართულ ენათმეცნიერებაში კარგად არის ცნობილი. მის შესახებ ბ-ნი გ. ახვლედიანი აღნიშნავს: „ქართული **რ** ნუნისმიერია ანუ ალვეოლარული; ამაზე გაცილებით სუსტია (როგორც ჩანს, ვიბრაციათა რიცხვის სიმცირის გამო) ჭანური ენის **რ**. იგი ხშირად იკარგვის ან იცვლება **დ**“ (ახვლედიანი 1949, 41).

ჭანური **რ** ბგერა პალატოგრაფიული მეთოდით შეისწავლა ბ-ნმა ს. ყლენტმა. იგი შემდგენიერად აღწერს მას: „სარფული **რ**-ს წარმოთქმისას ენის წვერის ვიბრაცია არაა იმ სახის, როგორც ნორმალური **რ**-ს წარმოთქმის დროს. ენის წვერი უფრო დუნე მდგომარეობაშია. იგი არ არის მიმართული მაღლა ნუნებისაკენ, ისე როგორც ამას ადგილი აქვს ჩვეულებრივ **რ**-ს წარმოთქმისას“ (ყლენტი 1953, 73). „ჭანური **რ** რამდენადმე ინგლისურ **რ**-ს მოგვაგონებს. როგორც ცნობილია, ინგლისური **რ** არავიბრანტი ბგერაა, ენის წვერის ვიბრაცია არ ხდება. ინგლისური **რ**-ს წარმოთქმისას ენის წვერსა და ალვეოლებს შორის და ენის უკანა ნაწილსა და რბილ სასას შორის საკმაოდ ფართო არე აქვს გასავლელი. ამიტომ, რომ ინგლისურში ხმოვნის შემდეგ **რ** მას ერწყმის, **რ**-ს ვოკალიზაცია მოსდის“ (ყლენტი 1965, 57).

ხოლო ქ-ნი ნ. კიზირია პალატოგრაფიული და რენტგენოგრაფიული მონაცემების საფუძველზე დაასკვნის, რომ: „თუ დავაკვირდებით ველო-დენტო-პალატოგრამას... ადვილად შევამჩნევთ ენის გვერდების შეხების კვალს სასის ორივე მხარეს მცირე ძირითადი და ძირითადი კბილების გასწვრივ. შეხების ადგილებს შორის რჩება საკმაოდ დიდი სივრცე, რომელიც ყველაზე ვიწროა მცირე ძირითად კბილებს შორის... ენის წვერი აწეულია ზემოთ ნუნები-

საკენ, მაგრამ ნუნებს არ ეხება... ჭანური **რ** ალვეოლარული თანხმოვანია. (კიზირია 1974, 29). „**რ** ბგერის ვიბრაციულობაც კარგად არის გამოხატული ოსცილოგრამაზე, სადაც რხევები ენის წვერის თრთოლას შეესაბამება“ (კიზირია 1974, 50).

გავავლოთ პარალელი ქვემოაჭარულისა და ლაზურის **რ** ბგერას შორის ბგერათცვლის პროცესების თვალსაზრისით.

ბ-ნი არნ. ჩიქობავა, ეხება რა ბგერათცვლის პროცესებს ჭანურში, წერს: „პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია **რ**-ს დასუსტება-დაკარგვა.. პროცესი გავრცელებულია ხოფურში და ვიწურ-არქაბულში, ამ უკანასკნელიდან არქაბულში; მოვლენის გავრცელების კერას ხოფური უნდა წარმოადგენდეს... ზოგჯერ აღნიშვნა ჭირს ისეთია გარდამავალი მდგომარეობა: არც **რ**-ა, მაგრამ სულ არაფერიაო, მაინც არ ითქმის“ (ჩიქობავა 1936, 22). იგივე შეიძლება ითქვას ქვემოაჭარულის შესახებ. ქვემოაჭარულში ყველაზე მეტად, როგორც აღვნიშნეთ, ეს მოვლენა მერისის ხეობაშია გამოხატული.

ჭანურში უცხო ენებიდან შემოსული სიტყვებიც კარგავენ **რ**-ს: ფერი>ფი (ჩიქობავა 1936, 22). უნდა ითქვას, რომ ქვემოაჭარულშიც უცხოენობრივი ნასესხობანი ზუსტად ასევე იქცევიან.

ბ-ნი არნ. ჩიქობავა მიუთითებს, რომ ჭანურში **რ**-ს დაკარგვა ხდება ხმოვნებს შორის და **ს** თანხმოვნის წინ: ოხოი<ოხოი, მგეი<მგერი, დოლუუ<დოლურუ, ჩუმეს<ჩუმერს (იქვე). აჭარულშიც იკარგვის **რ** ბგერა ამ პოზიციებში.

ჭანურში **რ**-ს დასუსტებისას გარდამავალ საფეხურად **ჲ**-ა მიჩნეული: რენ>ჲენ, ფერი> [ჲფი] >ფი. ამ შემთხვევაში, ქვემოაჭარული შორდება ლაზურს. ქვემოაჭარულში, ჩვენი დაკვირვებით, **რ**-ს იოტაცია არ ხდება. მართალია, იოტა თითქოს ისმის სიტყვაში **სიფილი** და მსგავსში (ანუ როცა **რ** ბგერა მოქცეულია პოზიციაში **ირჩ**). მაგრამ ეს იმით აიხსნება, რომ აქ გვაქვს უბრალოდ **რ**-ს წინამავალი ხმოვნის, ამ კერძო შემთხვევაში კი - **ი** ხმოვნის, სიგრძე ან გაორმაგება. უნდა ითქვას, რომ აჭარულში იოტაციისაკენ თანხმოდანთა მიდრეკილება არც სხვა შემთხვევაში შეინიშნება. ასე მაგალითად, ცნობილია, რომ ზემოაჭარულ წარმოთქმაში სპორადულად აღინიშნება **ს** ბგერის **ჰ**-სთან მონაცვლეობა (ამაჰ, ბალანაჰაც, ჰად). აქაც ლაზურისა და ქართული ენის კახური დიალექტისაგან განსხვავებით, **ს** ბგერა გარდაიქცევა **ჰ** ბგერად და არა **ჲ**-დ.

რ ბგერის რეფლექსის სახით ჭანურსა და ქვემოაჭარულში რომ ერთი და იგივე მოვლენა გვაქვს, ამაში გვარწმუნებს ამ ენობრივი ფაქტების როგორც ფიზიოლოგიურ-არტიკულაციური მსგავსება, ისე რეგიონალური სიახლოვე (ქვემოაჭარა და ლაზეთი მოსაზღვრე რეგიონებია).

აღსანიშნავია, რომ ხოფური კილოკავი, რომელიც **რ**-ს რეფლექსის „გავრცელების კერას“ წარმოადგენს, სხვა შემთხვევაშიც ამჟღავნებს აჭარულთან საერთოს. მხედველობაში გვაქვს, მაგალითად, ის ფაქტი, რომ მყოფადის წარმოების წესით (**უნონ** მოდალური ფორმის გამოყენებით) ხოფური შორდება ლაზურის სხვა დიალექტებს (ჩიქობავა 1936, 11, 148) და უახლოვდება აჭარულს, სადაც კავშირებითის ფორმებთან **უნდა** გვაქვს (გამარტივების შედეგად მიღებული რეფლექსების -ნა, -და, -ნდა სახით).

საგულისხმოა ისიც, რომ ხოფურში ლაზურის სხვა კილოებისაგან განსხვავებით, **ჟ** ბგერა მდგრადია, არ გადადის **ქ**-ში (ჩიქობავა 1936, 15, 18), რაც შესაძლებელია აჭარულის გავლენით აიხსნას.

ლოგიკურია, ვიფიქროთ, რომ **რ** ბგერის რეფლექსი ქვემოაჭარულში ლაზურიდანაა გავრცელებული. იმის დაშვება, რომ ორივე რეგიონში ეს მოვლენა საერთო გამვლენელი უცხოენის (ან მისი დიალექტის) შემონატანია, ნაკლებ სავარაუდოა (თუმცა გამორიცხული არ არის), რადგან მსგავსი პროცესები ვითარდება მეგრულშიც. მეგრულის სენაკურ მეტყველებაში სუსტია **ლ** და **რ** ბგერები, ხდება მათი პალატალიზაცია: **ლ>ლ**, **რ<რ**. „თუ მარტვილურ-ბანძურში **ლ** სუსტდება, ჭანურში **რ**“ (ჩიქობავა 1936, 23). მეგრულში **რ**-ს რედუქციის შემთხვევები: მუ მე<მუ რე, მაჟია<მაჟირა (ჩიქობავა 1936, 23).

მერისის ხეობას (სადაც ქვემოაჭარულის უბნებიდან ყველაზე მეტადაა გამოხატული **რ**-ს რეფლექსი) ხოფასთან საქართველოს ამჟამინდელ ფარგლებში უმუშალო მეზობლობა არ აკავშირებს. ამ მოვლენის ახსნაში, ვფიქრობთ, ნათელს შეიტანს ძველი, ისტორიული სამხრეთ საქართველოს სამიმოსვლო გზებისა და კონტაქტების შესწავლა.

თუ რა მნიშვნელობა აქვს ენობრივი კვლევისას ძველი სამიმოსვლო გზების გათვალისწინებას, ამაში ერთი ასეთი ფაქტი გვარწმუნებს: მაჭახლის ხეობის სოფლებიდან **რ** ბგერის აღნიშნული რეფლექსი ყველაზე ძლიერ, ყურში მოსახვედრად, გამოხატულია სოფ. აღმართში. ამ სოფელს აჭარისაღმართსაც ეძახიან, რადგან აქ, გორაკზე გადადიოდა ერთ-ერთი სამიმოსვლო გზა, რომლითაც სამხრეთი საქართველო აჭარას უკავშირდებოდა.

ამ გზას აჭარაში შევყავართ ქედის რაიონის სოფლების მხრიდან. რის გამოც აღმართელებს ძველთაგან განსაკუთრებული ცხოველი ურთიერთობა ჰქონდათ ქედელებთან (თხოვება-გათხოვების, სავაჭრო თუ სხვა სახის). ამის გათვალისწინებით, გასაგები ხდება, თუ რატომ არის **რ** ბგერის რეფლექსი ასე გავრცელებული სწორედ ამ სოფელში.

ამრიგად, ქვემოაჭარულსა და ლაზურში დადასტურებული **რ** ბგერის რეფლექსები, როგორც არტიკულაციურად, ისე ბგერათცვლის თვალსაზრისით ძლიერ ახლოს დგას ერთმანეთთან. მათ შორის შეიძლება დავინახოთ შემდეგი განსხვავება: ა) ლაზურში **რ** ბგერა გადადის იოტაში, რაც აჭარულში არ შეინიშნება, ბ) ქვემოაჭარულში პოზიციაში — **VrC რ**-ს წინამავალი ხმოვანი გრძელდება ან ორმაგდება, რასაც ლაზურში ადგილი არ აქვს. მიუხედავად ამისა, უეჭველია, რომ ორივე შემთხვევაში — ლაზურსა და ქვემოაჭარულში საქმე გვაქვს ერთსა და იმავე მოვლენასთან. ამაზე მიგვანიშნებს, პირველ რიგში, მათი ტერიტორიული სიახლოვე.

ეს მოვლენა წარმოქმნილი ჩანს ლაზურში შინაგანი მიდრეკილების საფუძველზე, რაშიც გვარწმუნებს მეგრულის ვითარება, ქვემოაჭარულში უნდა გავრცელებულიყო ლაზურის გავლენით. ამ ვარაუდის სისწორეში იმედი გვაქვს, რომ ნათელს შეიტანს, ძველი საკონტაქტო, სამიმოსვლო მარშრუტების შესწავლა.

ლიტერატურა

ახვლედიანი 1949 — გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი, 1949.

კიზირია 1974 — ნ. კიზირია, თანხმოდანთა დაბრკოლების ადგილისა და რაგვარობის შესახებ ჭანურში, კრებულში: მეტყველების ანალიზის საკითხები, თბილისი, 1974.

კიზირია 1974 — ნ. კიზირია, თანხმოდანთა კლასიფიკაციისათვის ჭანურის ხოფურ კილოკავში, კრებულში: მეტყველების ანალიზის საკითხები, თბილისი, 1974.

ჟღენტი 1953 — ს. ჟღენტი, ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბილისი, 1953.

ჟღენტი 1960 — ს. ჟღენტი, ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკა, 1, თბილისი, 1960.

ჟღენტი 1965 — ს. ჟღენტი, ქართველურ ენათა ფონეტიკის საკითხები, თბილისი, 1965.

ჩიქობავა 1936 — არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი, 1936.

NARGIZA SURMAVA

Reflex of the Sound *r* in Low Adjarian – Comparing with Laz

S u m m a r y

Reflexes of the *r* sound evidenced in Low Adjarian and Laz are close to each other from the viewpoint of articulation and sound alternation. The following differences are observable between them: a) in Laz *r* is changed into *iota* (**ren** > **jen**) which is not evidenced in Adjarian ; b) in Low Adjarian the position VrC preceding vowel of *r* in longed or doubled (**māto** “only”, **xooci** “meat”) which is not observable in Laz. In both cases – in Laz and in Low Adjarian – we have the similar phenomenon. Their territorial nearness points to this fact.

This phenomenon seems to be originated in Laz on the basis of inner inclination in which condition of Megrelian makes us sure (we mean palatalization of *l* and *r* sounds in the Senaki speech of Megrelian). In Low Adjarian it might be spread through influencing of Laz. Studying the old contact transport route will make clear the rightness of this supposition. Though the factor of common influencing foreign lingual interferency is not excluded.